საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზემო ავჭალის სამარხი

ზემო ავჭალის სამარხი, ადრინდელი რკინის ხანის (ძვ. წ. XI–X სს.) ძეგლი. 1927 გაითხარა (გ. ნიორაძე) ორმოსამარხი, რ-შიც მჯდომარე პოზაში ქალი იყო დაკრძალული. აღმოჩნდა: ბრინჯაოს ბოლოკვეთილი მახვილი, ბეჭდები და ღილაკები, რკინის შუბისპირი და სატევარი, კერამ. დოქი, ლანგარი, ჯამი და 2 კოჭობი, სარდიონის, კვარცის და მინის მძივები. ნივთები დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.

ლიტ.: ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი რ., რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ. წ. XIV–VI სს.), «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1961, ტ. 22 B; ნ ი ო რ ა ძ ე გ., ზემო ავჭალის სამარე, იქვე, 1930, ტ. 6; ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი კ., აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV–VII სს.), თბ., 1973.

ი. გაგოშიძე